საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია                    დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

კვირა, აგვისტოს 21
1921 წ.
ფასი 500 მანეთი

№ 2

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა
3

გულდამწვარნი ბატიფინა დავითის ასული და ძმები ლოლუები, ლავრენტი და კოწია ჩიქოვანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. აბაშაში (სენაკის მაზრ.) სექტემბრის 5-ს დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი პირველის დედისა და მეორესი სიდედრის, მესამესი დედის

ლიზა ბიჭია ხოფერიას ასული ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლად. 1261

გულდამწვარი ესტატე ... ძე ძოხიძე ოჯახობით აუწყებს საზოგადოებას მისი საყვარელი და მოწაფის მეგობრის, ნიჭიერი მხედრის, სამხედრო სკოლის კაპიტანის,

მაქსიმე (მასიკოს) ანტონის ძე რევიას

უდროოდ გარდაცვალებას ქ. როსტოვში; დასაფლავებულია იქვე. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილ იქნება ამხანაგებსა და მეგობრების მიერ შაბათს 20 მარიამობისთვის დილის 10 საათზე და კვირას 21 დღის 12 საათზე ტფილისის სამხედრო ტაძარში. 1262

## ტრიბუნიდან

1.

**კონტრ-რევოლიუციური ლალადისი.**

ამ ბოლო დროს ჩვენი ქვეყანა საოცარ ჭორების საგნად გადაიქცა. არა თუ კვირეებსა და დღეებში ცხვება ახალ-ახალი სენსაციური ხმები, ყოველ საათში თქვენ აუცილებლივ მოგაწოდებენ რაიმე ახალ ამბავს, ახალ რადიოს, სარწმუნო წყაროდან ან მნახველის პირიდან მიღებულ ჭორს და ამ გვარად აფორიაქებენ მოქალაქის ცხოვრებას.

ერთი ყოველ იჭვს გარეშეა—ჭორების გავრცელება მეტად მოხერხებულ ორგანიზაციის ხელში უნდა იყოს, ისე ორგანიზაციული ელფერი აზის და გარკვეული კონტრ-რევოლიუციური ხასიათი აქვს.

ყოველი ჭორი იქითკენ არის მიმართული, რომ დღეს-ხვალ დაინგრეს საბჭოთა სისტემა, ყოველი ქუჩის ცნობა საბჭოთა წყობილების უბედურებას ეხება. არ ყოფილა უამრავ ჭორთა შორის ერთი ისეთი ჭორი, რომელიც როგორმე, პირდაპირ სასარგებლო ყოფილიყო, მაგალითად, ახალი წყობილებისათვის.

დღეს ამ საშინელ რეაქციას ხელმძღვანელობს არა შავი რაზმის რაინდები, თავადები და კაპიტალისტები, არა, ესენი მხოლოდ ბანის მიმცემია ამ კონცერტში, დემოკრატიის ხმაზე მოღადავე ელემენტები, მასიური წვრილ-ბურჟუაზიული ხროვა არის ამ ხმების მესვეური, ხოლო თუ მხედველობაში მიიღებთ იმ პროკლამაციას, რომელიც ეხლა ჩვენს განკარგულებაშია, თქვენ დაინახავთ, რომ ამ ჭორებს მახლობელი კავშირი აქვს იმ ჟურნალთან, რომელსაც სახელად „თავისუფალი საქართველო" ჰქვიან და რომლის თავისუფლება ბრიანის ბრწყინვალებით არის სხივფენილი.

რას ამბობს ეს უსახელო, ანონიმიური პროკლამაცია? ამ ხალხს, რომელსაც „სახიფათო" საქმისათვის მოუკიდნიათ ხელი აშკარად იმიტომ, რომ დიდად სასარგებლო საქმეს აკეთებს, იმის გამბედაობაც არ აქვს, რომ თავისი ლოზუნგით დაამშვენოს თავისი აზრი. ეს უჩინარი პროკლამაცია იგივე უჩინარი ჭორია, რომელიც პირში გიცინის, ზურგში კი მახვილს გილესავს და მხოლოდ იმასღა ოცნებობს თუ როდის ამოვა მზე და ამ მახვილს ზურგში ჩაგცემს.

საბრალო მიამიტი მოქალაქე, რომელმაც არაფერი იცის ამ ჭორების ორგანიზაციის, მიზნების და გულუბრყვილოდ იჯერებს „სამედო" პირთა გადმონაცემს და თავის მხრივ ქმნის „პანიკას".

ჩვენი მიზანია ამ ჭორების შინაარსი სინათლეზე გამოვიტანოთ და ხალხს უთხრათ თუ ვისთვის და რისთვის სთხზავენ ამ ჭორებს. ეს მეჭორეები ხშირად „საზოგადო მოღვაწეებადაც" არიან ცნობილნი, მახვილი ყური აქვთ, დაბალი ხმა და ასევე მახვილ ყურს გადასცემენ თავის ნამდვილ ამბავს და გულისნადებს. კიდევ მეტი, ეს მეჭორეები ეროვნული მოღვაწენის სამოსელშიაც ეხვევიან და ისეთ ცნობებსაც ავრცელებენ, თითქოს საქართველოს „განთავისუფლებასთან" აქვს კავშირი.

— მოდიან, მოდიან!—გადასცემდა ამ ორიოდე დღის წინად რადიო-ჭორი ჩვენს მოქალაქეებს.

ან უკეთ—მიდიან, მიდიან!—ამტკიცებდა იგივე ჭორი.

ვინ მიდის და ვინ მოდის? ვინაა ცხენზე რომ გვაჯენს და გვაჯირითებს ან ვინაა, რომ მასპინძლობას მოგვაგონებს „ძვირფას" სტუმრების მისაღებად?

ეს ის ძალები გახლავსთ, რომელთაც მრავალ ჯერ გადასცეს ჭორებით ანგორა და ტრაპიზონი ბერძნებს, ის ხალხია, რომელიც გუშინ ოზურგეთში ყუმბარას აგდებდა, ბათომის ევაკუაციას ამტკიცებდა და დესანტის არსებობას მნახველებით გვიმოწმებდა.

ერთი სიტყვით, ეს გახლავსთ ისევ და ისევ კონტრ-რევოლიუციონური ლადადისი, შავი რეაქციონური კამპაია, რომელსაც—ვიმეორებთ—დღეს მესვეურობს უმთავრესად ის ჩვენი ხალხი, რომელიც დემოკრატიზმით მიდის სოციალიზმისაკენ და სოციალიზმის დასამყარებლად კი პარიზის ქუჩებში დაბავარდობს. ამას გარდა ეს ხალხი საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და ხალხის ნებისყოფას იმით ემსახურება, რომ პარიზშივე მუსავატელებთან და დაშნაკელებთან ჩვენი ხალხის დაუკითხავად აერთიანებენ ამიერკავკასიას, ასე გამოხატავენ ადგილობრივ ერების ნამდვილ სურვილებს, ასე იცავენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და შემდეგ ამ ეროვნულ მოღვაწეობას ამტკიცებინებენ პარიზში ბრიანს, ხოლო იტალიაში დელლა-ტორრეტას.

ჩვენ ვეკითხებით მენშევიკების, მუსავათის და დაშნაკთა პარტიის ძალებს, დღეს აქ რომ ისევე მტკიცედ სდგანან ეროვნულ პრინციპებსა და დამოუკიდებლობის იდეაზე—რას ნიშნავს მათი მამების, უფროსების და პატრონების პარიზის საწინააღმდეგო ხელშეკრულებები? ჩვენ ვეკითხებით ამ პარტიის აქაურს და იქაურს წარმომადგენლებს—რად არ მიგაჩნიათ თქვენ ხსენებულ ჯგუფების გადადგმული ნაბიჯები ევროპაში დამოუკიდებლობის, ეროვნების და ხალხის ღალატად? თქვენს ბრალდებებში ან ყურიდან ყურში რად არაფერს გადასცემთ ამ მართლა სამარცხვინო საქმეებზე?

— რად? რად? რად?

— რაშია საქმე?

ნუ თუ ჩვენი მშიერი და ღარიბი ხალხის ნაამაგდარი, ისტორიული ნივთები და ოქრო-ვერცხლი იმიტომ იქნა გატანილი, რომ ასეთი ეროვნული და სოციალისტური საქმე გეკეთებინათ?

საქართველოს საელჩო-ბაბად სტამბოლისა—იტყობინება, რომ იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს დელლა-ტორრეტის მხიარულად მიუღია მენშევიკ-მუსავათ-დაშნაკთა მინისტრები, ხოლო კიდევ მეტად საამოდ მიუჩნევია ამათი ფედერაცია.

ეს მართლა საყურადღებო ცნობაა. ჩვენ, როგორც ვიცით, ასეთი აუდიენცია" მენშევიკ მუსავათ-დაშნაკთა მინისტრებს ქონდათ პარიზში, ხოლო ბოლო დროს ეს მინისტრები ძალიან დიდ მუშაობას ეწეოდნენ ბალტიის მხრის მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენციაზე ანტიბოლშევიკური კოალიციის სასარგებლოდ.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნიშნავს ეს იმას თუ არა, რომ ყოფილმა ჩვენმა მთავრობებმა საფუძვლიანად და საუკუნოდ ჩარგეს თავი ანტანტის კალთაში და არსებითად დარჩა დღეს თუ არა კიდევ გამყოფი ხაზი ანტანტასა და ჩვენ ყოფილ მთავრობებს შორის?

ჩვენს რაინდებს საოცრად სწყინთ, როცა ეუბნებით, რომ ისინი ანტანტის მომხრეებია. მათ ამისათვის საგანგებო თეორიაც აქვთ შექმნილი, რომელსაც დაუყონებლივ მოგახლიან ხოლმე. ეს თეორია გვიმტკიცებს, თითქოს მათ ანტანტასთან არაფერი საერთო არ აქვთ, რომ ისინი საქართველოს თვითონ, საკუთარის ხელით „განთავისუფლებენ" და საკუთარის ძალითვე წარმართავენ საქართველოს საქმეებს.

მერე რამდენ გულუბრყვილო და საბრალო ადამიანს სჯერა ეს წმინდა წყლის კონტრ-რევოლიუციონური ისტორია და ლათაია. ნუ თუ დღეს ყველამ არ უნდა იცოდეს, რომ ყოველი ძალის საქართველოში შემოსვლა—რა ძალაც არ უნდა იყოს იგი—იქნება საქართველოს უუდიდესი უბედურება და რომ ეს შემოსვლა არ შეიძლება გარეშე იმ კარებისა და ძალებისა, რომელიც ანტანტას ეკუთვნის?

ნუ თუ დღეს ყველამ არ უნდა იცოდეს, რომ მენშევიკ-მუსავათ-დაშნაკთა ძალების რესტავრაცია შეუძლებელია ანტანტის გარეშე (რასაკვირველია, თუ ისიც შესძლებს ამას) და რომ ეს ძალები ხრული, ხრული და ხრული მონა იქნება ანტანტისა?

საფრანგეთი ითვლებოდა და დღესაც ითვლება ჩვენი დამოუკიდებლობის უმთავრეს მოწინააღმდეგეთ და მისი გავლენა უკვე ხომ არ გამოჩენილა მენშევიკ-მუსავათ-დაშნაკთა მთავრობების შემოქმედებაში, რომლებმაც ამიერ-კავკასიის ერების ლოცვა-კურთხევით (sic!) იქა, სადაც პატარა ერების თავისუფლება იჭედება (sic!) ხელი აიღეს დამოუკიდებელს რესპუბლიკებზე?

ჩვენ გვინდა გავიგოთ—ამიერ-კავკასიის მენშევიკურ-მუსავათურ-დაშნაკურ ფედერაციის შემქმნე ყოფილ მთავრობებს კიდევ მიაჩნიათ თუ არა თავი საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებად?

ამ დღეებში გრ. გიორგაძის წიგნაკი გამოვიდა ჩვენი წიგნის ბაზარზე, ეს წიგნაკი ის წერილია, რომელიც მას „სხივში" ქონდა მოთავსებული. საბრალო გიორგაძე!—წელზე ფეხს იდგამს, მისი ამხანაგების დამოუკიდებლობის პოლიტიკას იცავს, კარგი მიზნები და აზრები ახელმძღვანელებს მას, მაგრამ ეხლა რაღას იტყვის წიგნაკის ავტორი მენშევიკ-მუსავათ-დაშნაკთა მთავრობის დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ კი იმ ფაქტს გავიმეორებთ, რომ არსებითად მენშევიკ-მუსავათ-დაშნაკელები დღეს ევროპაში იმას აკეთებენ, რასაც გუშინ ჩვენთან აქ აკეთებდნენ, რომ მათ ეროვნებაც, თავისუფლებაც და ხალხიც იმდენად ესმით, რამდენადაც ყოველივე ეს მათ საკუთარ პარტიულ ინტერესებს ეხუება.

დიახ, მეტად საინტერესო ამბავი მოხდა ჩვენს კურთხეულს სამშობლოსა და პარტიათა ისტორიაში. მენშევიკები 25 წლიწადი ებრძოდნენ საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. რუსეთიდან გარიყულებმა ამიერ-კავკასიის ორიენტაციაზე იმედ გაცრუებულებმა, ხალხთან ერთად 26 მაისის აქტი გამოაცხადეს. ისტორიის ჩარხის ბრუნვამ მენშევიკები გარიყა საქართველოდან და აი ეს მენშევიკები დღეს უკვე უარყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ჩვენ ვეკითხებით იმათ, ვისაც ოდესმე სწამდათ მენშევიკების ეროვნული შემოქმედება ამის შემდეგ კიდევ იწამებენ მენშევიკების ეროვნულ პოლიტიკას? რას იტყვიან დღეს ის „ეროვნული" მოღვაწენი, რომელნიც დღესაც მენშევიკების კუდში დგანან და მათ კოალიციას ამაგრებენ?

დეე, ამათაც სთქვან თავიანთი სიტყვა!

მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ვიცოდეთ შემდეგი: 1918 წელს 26 მაისს ტფილისში ერთსა და იმავე დარბაზში ორი ისტორიული კრება იყო. ერთი მიმავალის, მეორე მომავალი ძალის. პირველ კრებაზე ირაკლი წერეთელმა ორჯერ ილაპარაკა და დამარხა ამიერ-კავკასიის სეიმი, ის სეიმი, რომელიც შეიქმნა მენშევიკ მუსავათ-დაშნაკთა კომბინაციამ; იმავე დღის 4 საათსა და 50 წუთზე იმავე სასახლეში გაიხსნა უფლება მოსილი ეროვნული საბჭოს კრება, აქ კი ჟორდანიამ ააფრიალა ეროვნული დროშა საქართველოსი.

ჩვენ ვკითხულობთ: ნუ თუ ეს გუშინდელი ამბები დღეს ყველას დაავიწყდა? და თუ მართლა არავის დავიწყებია ეს ისტორიული ამბები. ჩვენ ვკითხულობთ: თუ თვით ამიერ კავკასიაში შეუძლებელი შეიქმნა მენშევიკურ-მუსავათურ-დაშნაკური კავშირი როგორ გახდა შესაძლებელი ეს კავშირი პარიზში?

სად იყავით მართალი და გულწრფელნი, ტფილისში თუ პარიზში? გვითხარით—ტფილისის აქტი იყო რევოლიუციონური და ეროვნული თუ პარიზის?

ეხლა ყველასათვის, თვით ბრმებისა და ყრუებისათვის აშკარაა სავსებით, რომ მენშევიკურ-მუსავათ-დაშნაკური მთავრობანი სავსებით ემონავებიან პარიზში კონტრ-რევოლიუციონურ ანტანტას და ამ ანტანტის კარნახით სწარმოებს ჩვენი ყოფილი მთავრობების პოლიტიკის შეცვლა.

ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესი მოითხოვს საქართველოს საკითხები გადასჭრას საკუთარი ძალებით, და სამშობლო და ერის საქმეები მოაშოროს ყოველ კონტრ-რევოლიუციურ ძალას.

თედო ღლონტი.

## ჩუმი მუშაკის დავიწყება

ამ ახლო წარსულში მწერალთა და მსახიობთა დახმარება გამოქვეყნდა, რაც მეტად სიმპატიური საქმედ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ერთი ჩუმი მოღვაწე კი სამწუხაროდ დავიწყებულია. სილოვან ხუნდაძე 35 წლის განმავლობაში ქართულ კულტურის მსახური და მისთვის არა ერთხელ დევნილი პიროვნებაა. მისი მოღვაწეობა არც მარტო მით განისაზღვრება, რომ იმ შავ-ბნელ დროს, საუკეთესო ინტელიგენტებს ზრდიდა, როდესაც ჩვენი სულიერი კულტურა გადაგვარების გზაზედ იყო დამდგარი. სილოვანის სახელი არ შეიძლება დარჩეს გარეშე ჩვენი მწერლობის ისტორიისა, როგორც მწერალის და გრამატიკის შემდგენლის.

გასულ წელს ფიზიკურად დასუსტებულმა ქუთაისის მეორე გიმნაზიის დირექტორის მოვალეობას თავი გაანება და დასვენებას ფიქრობდა მაგრამ წელს ისევ უხდება სამსახური ქუთაისის ერთ-ერთ კანცელარიაში უბრალო თანამდებობაზე. ასეთი დავიწყება ჩუმი მუშაკის კი მეტად სამწუხაროა. დახმარებას დღეს ღებულობენ ისეთი მოღვაწეები, რომელთაც ძალა და ენერგია აქვს, მის გარეშეც მოიპოვონ არსებობის საშუალება და ამ დროს საზოგადო ასპარეზზე მოქანცულ პიროვნებას, რომელსაც ფიზიკურად აღარ ძალ-უძს „ჩინოვნიკობის" ჭაპანის ატანა, და სახელმწიფო სხვა მხრივ არ უწევდეს დახმარებას პირდაპირ უსამართლობაა, მით უმეტეს ქართველი ინტელიგენციისათვის, რომლის უმრავლესობა ამ პიროვნების მზრუნველობით აღზრდილა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ხ. ამ—ლი.

## ახალი ამბები

— **ი. ტყეშელაშვილის საქმე.** 15 აგვისტოს უმაღლეს რევტრიბუნალში გაირჩა საქმე ფარმაციის მაგისტრის ი. ტყეშელაშვილის, რომელსაც ბრალდებოდა კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება და სახელმწიფო ქონების მითვისება. პირველი ბრალდება ვერ იქნა დამტკიცებული. მეორე ბრალდების დამტკიცების გამო ი. ტყეშელაშვილის გადაუწყვიტა 1 წლით იძულებითი სამუშაო.

— **ბათომში საქონლის შემოტანა.** „ვნეშტორგის" ცნობით მაისიდან 25 ივლისამდე ბათომის ნავთსადგურში შემოტანილ იქნა შემდეგი საქონელი: ფქვილი 138 893 ფ. შაქარი 18.374 და სხვა სასურსათო პროდუქტები 21.929 ფ.

## რედაქციის კანტორიდან

**ტფილისის ხელის მომწერთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ ამით ვაცნობებთ რომ გაზეთი „ტრიბუნა" აღარ გაეგზავნებათ ბინაზე. გაზეთის მიღება შეიძლება რედაქციაში დილის 9—2 მდე.**

## საუბარი ქართველ მუშებთან

3.

ამხანაგო მუშებო, უნდა გავარკვიოთ, თუ რა გზა უნდა აირჩიოს მუშათა კლასმა და რომელი გზით მიაღწევს სოციალიზმს. არის ორი მნიშვნელოვანი გზა, გზა დემოკრატიზმისა და გზა მუშათა საბჭოებისა, რომელი გზა უნდა აირჩი-

ის მუშათა კლასმა? დემოკრატიზმი, დემოკრატიული წყობილება ნიშნავს დემოკრატიის ბატონობას; დემოკრატია ჰგულისხმობს პროლეტარიატსაც, მიწის მესაკუთრესაც, მიწის მუშასაც და ვაჭარ-მრეწველსაც, — სოციალისტურ და არა სოციალისტურ ელემენტებს! დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მთელი თავისი პოლიტიკა უნდა შეუგუოს დემოკრატიის ყველა ნაწილის ინტერესს.

მაგრამ სდგება საკითხი: როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიოს სოციალისტურმა დემოკრატიამ, მებრძოლმა პროლეტარიატმა არა წმინდა კლასიურ ელემენტებთან. ამ კითხვასთან ერთად ძალაუნებურად იბადება კითხვა დროისა და გარემოების შესახებ. სხვა და სხვა დროს პროლეტარიატი სხვა და სხვა განწყობილებაში უნდა იყოს.

რა აერთებს მებრძოლ სოციალისტურ დემოკრატიას დემოკრატიასთან. არ ხანგრძლივია მისი ინტერესთა იგივეობა თუ არა? მონარქიულ რუსეთში მათ აერთებდა მონარქიზმის განადგურების იდეა, მსხვილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში მათ აერთიანებთ მსხვილი ბურჟუაზიის განადგურება და ამ ორ შემთხვევაში, ამ ორ სხვა და სხვა კატეგორიას ერთი და იგივე მისწრაფება ახასიათებს. ეს იმდენად ცხადია, რომ ამაზე დიდხანს არ შევჩერდები. როდესაც საკითხი სდგას საერთო მტრის წინააღმდეგ იქ ერთია დემოკრატია და პროლეტარიატი; მაგრამ როდესაც დემოკრატია ხდება სახელმწიფოს მესაჭედ, რა პოზიცია და რა დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს პროლეტარიატმა?

დემოკრატია რევოლუციონურია, როდესაც იბრძვის მონარქიისა და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ კონსერვატიულია, როდესაც ის ხდება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბატონ-პატრონი; ახალი ცხოვრების შესაქმნელად საჭიროა დემოკრატიის გარეშე მდგომი რევოლუციონური ძალა, რომელიც ისტორიის გზიდგან ჩამოიცლის დემოკრატიას და შეუდგება ახალი ცხოვრების აღმშენებლობას. აი ეს ძალა უნდა იყოს რევოლუციონურ-სოციალისტური მასსა, მებრძოლი მშრომელი ხალხი. აი სწორედ ამისთვის მშრომელი ხალხი არ უნდა მიეკედლოს „დემოკრატიზმს“, თუნდაც უკანასკნელი აუცილებელი საფეხურიც იყოს სოციალიზმის სიმაღლემდე ასასვლელად. იგი უნდა დადგეს „დემოკრატიზმის“ გარეშე და აწარმოოს დამოუკიდებლად თავისი საკუთარი პოლიტიკა. ამას ჩვენ ვამბობდით წინედ, ვლაპარაკობთ დღესაც. „დემოკრატიზმი“ არ გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს.

იქნებ „დემოკრატიზმი“ მართლა აუცილებელი ფორმაა სოციალიზმამდე მისვლისათვის და გვერდს ვერ ავუხვევთ მას?

ამბობენ რომ სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭიროა ნიადაგი, საერთო პირობები, საჭიროა მრეწველობის უმაღლესი განვითარება, მუშათა კლასის მჭიდრო დარაზმვა და მუშათა კლასის მომზადება სოციალისტური აღმშენებლობისათვის, ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, უამისოდ დაირღვევა ცხოვრების კანონი და ხრამში გადავცვივდებით. ცხოვრებამ ნახტომი არ იცის და თუ ვინმე შეეცდება ამ ნახტომის გაკეთებას კისერს წაიმტვრევსო. მივყვეთ კვალ და კვალ ამ ლოღიკას.

არც ერთი სოციალისტური პარტია არ ამბობს, რომ სოციალისტური აღმშენებლობისათვის არ იყოს საჭირო ნიადაგი,—მრეწველობის განვითარება, კლასიური დარაზმვა და სხვა; მაგრამ არის ასეთი ნიადაგი დღეს თუ არა? თუ ჩვენ საზომად ავიღებთ რუსეთს, ან საქართველოს, ცხადია სოციალისტური აღმშენებლობის პირობები მცირეა, მეტად მცირე, მაგრამ თუ ავიღებთ ევროპას იქ აუცილებლად დიდი ნიადაგი აქვს სოციალისტურ აღმშენებლობას და უკანასკნელიც ევროპიდან უნდა დაიწყოს. მრეწველობა ევროპაში საკმაოდ განვითარებულია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპამ ამოსწურა მთელი თავისი ენერგია ბურჟუაზიულ აღმშენებლობაში და გაიყინა; იგი ახალს აღარას იძლევა; ამავე დროს ჩქარის ტემპით ვითარდება საზოგადოებრივ-ეკონომიური ორგანიზაციები, რომლებიც ასუსტებენ კერძო მრეწველობას და ნელ-ნელა ხელში იგდებენ ცხოვრების ეკონომიურ საჭეს.

აი ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ სოციალისტური აღმშენებლობისათვის მუშათა კლასი უკვე მომწიფებულია, ერთგვარი პრაქტიკაც არის და ბურჟუაზიული ქვეყნის დანგრევით მსოფლიო არას დაკარგავს, მხოლოდ საჭიროა მძლავრი მუჯლუგუნი ევროპის მუშათა კლასის ასამოძრავებლად და ეს მუჯლუგუნი სოციალური რევოლუცია გახლავთ, რომელსაც ჰქმნის რუსეთის რევოლუცია და რომლის შესახებ ცალკე მოგელაპარაკებით.

ალ. დიდებულიძე.

## კავროსტას ცნობები

**ბერძენ-ოსმალთა ომი.** 16 აგვ. ტოპიზონის რადიო იძლევა ომის შემდეგ მიმოხილვას ანგორიდან 13 აგვ. დასავლეთ ფრონტზე მზვერავთა მოქმედება. მტრის ფრონტზე ხდება ჯარის ნაწილების გადაჯგუფება.

**ზემო-სილეზია.** ნაუენის ცნობა 17 აგვ. გერმანიის მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებთ წესიერებისაკენ. ზემო-სილეზიის საკითხის ხალხთა ლიგისათვის გადაცემის გამო ვარშავის პრესა ძლიერ ღელავს. „ვესტმინსტერის“ I პარიზელი თანამშრომელი აღნუსხავს საფრანგეთის გარიყულ მდგომარეობას ზემო სილეზიის საკითხში. ფიქრობენ, რომ ამ საქმეში ინგლისის მხარეს იქნებიან ჩინეთი, ბრაზილია, ისპანია და პოლონეთი.

**ისპანიის ახალი მთავრობა.** 16 აგვ. შესდგა ახალი სამინისტრო. საგარეო საქმეთა მინისტრია გონზალესი, სამხედრო—ლიაჩიერა, ფინანსთა—კამბა.

**რუსეთის დამშეულნი და უცხოეთი.** ჰოლანდიელი მწერალი ქალი კომუნისტი ჰენრიეტა როლანდ ჰოლსტი ცამარე წერილებსა სწერს და მოითხოვს კომიტეტის შედგენას პროფკავშირების მონაწილეობით. ფინლანდიის მუშათა ორგანიზაციები მოითხოვენ მედიკამენტებისა და ტანთსაცმელის გაგზავნას რუსეთში. ჩეხო-სლოვაკიის ყველა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებიდან შესდგა მუშათა კომიტეტი დამშეულთათვის დასახმარებლად. გერმანულ „როტე ფანე“-ში მოთავსებულია მოწოდებანი ყველა მუშებისადმი რუსეთის დასახმარებლად. საფრანგეთში თვით ბრიანი ცდილობს ჩაერიოს ამერიკას მიერ გადადგმულ ნაბიჯში რუსეთის დამშეულთა დახმარების საკითხში და მით ორ მიზანს მიაღწიოს: კიდევ მეტად დაუახლოვდეს ამერიკას და ეკონომიური კავშირი დაიჭიროს რუსეთთან. ბერლინში ესერებისა და კადეტებისაგან შემდგარია ორი კომიტეტი, რომელნიც უმაღლეს საბჭოს მოუწოდებენ გამოიყენონ მათი ძალა დამშეულთა საქმის მოწყობაში. ამერიკის წითელი ჯვრის რწმუნებული გული მიემგზავრება რუსეთში, უნდა წაიღოს მედიკამენტები და სურსათი.

**საქონელი გერმანიიდან,** 17 აგვ. გერმანიაში შეკვეთილ 300 ორთქლმავლიდან მისაღებია ახლო მომავალში 64. ოქტომბრის პირველ დღეებში პეტროგრადი მიიღებს 8 ორთქმავალს. 14 აგვისტოდან მიღებულია გემით მედიკამენტები, სასტამბო მელანი, სართავ მანქანის ნაწილები და სამეურნეო იარაღები.

**საქონელი დანიიდან.** 15 აგვისტო. 13 აგვისტოს დანიის გემმა მოიტანა პეტროგრადში 838 ტომარა ხორბალი.

**საქონლის გაცვლა-გამოცვლა ევროპასთან.** 14. აგვ. არხანგელსკიდან ნორვეგიაში გაიგზავნა 17 სანდალი ტყის მასალა. სამაგიეროდ ნორვეგიიდან მიღებულია ნახშირი, თევზი და ელექტრონის მოწყობილობა.

**სავაჭრო პირობა იტალიასთან.** 17 აგვ. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში რუსეთთან შეკრულ იქმნება სავაჭრო ხელშეკრულობა.

**ოდესიდან.** საქართველოს უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს საინფორმაციო—სარედაქციო განყოფილებას ატყობინებენ: შესამჩნევად იზრდება ხის კეთების კულტურული წარმოება. თანახმად წარმოებითი პროგრამისა ამ წელში დამზადდება 25 000 კალათი, 10 ათასი კასრი, 15,000 კოვზი, 300 ათასი ფარცხი და სხვ. აღსანიშნავია საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციების ზრდა ზოგიერთ მაზრებში.

დუბოსარსკის მაზრაში თამბაქოს მოსავალი საშუალოა.

ახლო დღეებში ოდესაში მოელიან ოკეანეს ტრანსპორტს 500 ათას ფუთ ინგლისურ ნახშირით. 29 ივლისს პორტში დაიწყო წინასწარი მუშაობა ნახშირის გადმოსატვირთავად.

საზამთრო პურის არე ოდესის გუბერნიის 400 ათას დესეტინას. გუბერნიის კავშირმა დაამზადა 50 ათასი ტყავი რქიანი საქონლისა წონით 14 ათასი ფუთი. ცხენის ტყავი დამზადებულია 200 ათასი ფ. და უკვე მიღებულია ოდესის საწყობებში; ეს კი უდრის 66 პროც. მთელი დამზადებული ტყავისას აგრეთვე დამზადებულია ათი ათასობით ცხვრის, კურდღლის და სხვ. ტყავეულობა.

მელითონეთა კავშირმა დაადგინა შეუდგეს დამუშავებას 3 თვის საწარმოო პროგრამის შესრულებისა.

შავი ზღვის მავთულის ქარხანა უკვე შეუდგა დამზადებას შავი ზღვის პორტებისათვის, პირველ თვეში განზრახული სამუშაო თითქმის შესრულებულია.

გუბ. პროფ. საბჭო შეუდგა წარმოებებში საწარმოო ტეხნიკური კომისიების ორგანიზაციას.

გუბერნიის სამეურნეო საბჭო შეუდგა დიდ სარეორგანიზაციო მუშაობას, იქნება ერთი აპარატი როგორც აღრიცხვისა, ისე განაწილება-მიწოდების მიხნით.

### პეტლიურა და რუმინია.

მოსკოვი. აგვისტოს 12 ს რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა კომისარიატებმა გაუგზავნეს რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრს საპროტესტო ნოტა, რუმინიის ტერიტორიაზე, ბუკოვინასა და ბესარაბიაში საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ საომარ მოქმედების მზადების შესახებ. ნოტაში აღნიშნულია შემდეგი დოკუმენტალურად დამტკიცებული ფაქტები: რუმინიის მთავრობასთან არის პეტლიურას სამხედრო რწმუნებული ატამანი გულიაი-გულენკო, რომელიც ამზადებს ბანდებს ოდესის, ნიკოლაევისა და თავრიის გუბერნიებში; შეიადერში რუმინიის შტაბთან არის პეტლიურას შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობს უკრაინის ფარულ ორგანიზაციებს, აქვს დამოკიდებულება უკრაინის მარჯვენა სანაპიროების ბანდიტებთან, ადგენს შეიარაღებულ არტილერიასა და კავალერიის რაზმებს. პეტლიურის ამ სამხედრო ორგანიზაციების მიზანთ აქვთ არა მარტო ტერიტორიალური დაპყრობა, არამედ უმთავრესად ცდილობენ ხელი შეუშალონ სასურსათო გადასახადის შეკრებას და ვოლგის დამშეულთა დახმარებას. კონსტანტინოპოლში რუმინიის მთავრობამ გულიაი-გულენკოს წარმომადგენლის მონაწილეობით გაგზავნა სპეციალური კომისია იქ მყოფი თეთრ-გვარდიელთა შესაკრებად. რუმინიის მთავრობას აქვს ოფიციალური დამოკიდებულება პეტლიურას წარმომადგენელთან—ძიცევიჩთან ბუქარესტში. რუმინიის მთავრობა აიძულებს ბოლგარეთს სამხედრო ტყვეების გაცვლას, რომ ამით შეადგინოს პეტლიურას რაზმები. მთავრობა ყოველგვარ დახმარებას უწევს პეტლიურას ორგანიზაციებს რუმინიაში: ასე მაგალითად მან გადასცა 600 ათასი ლეი პეტლიურას სააგიტაციო ლიტერატურისათვის. შემდეგ მოყვანილია მთელი რიგი ფაქტებისა და რუმინიის აგენტების სახელები; ნოტები გამოსთქვამენ საბჭოთა რესპუბლიკების სურვილს მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების შესახებ რუმინიასთან. აგრეთვე—აფრთხილებენ, რომ საბჭოთა წითელი არმიელები პეტლიურას ბანდების რუმინიის ტერიტორიაზე გასვლის დროს, განაგრძობენ ამ ბანდების რუმინიის ტერიტორიაზედაც დევნას, რის შესახებაც თავის დროზე ეცნობება რუმინიის მთავრობას.

## რუსეთში

### ხორბლეულის დამზადება

სურსათის სახალხო კომისარიატს დაუმზადებია ხორბლეული: 1917—18 წ.—30 მილ. ფუთი, 1918—19 წ.—111 მილ. ფუთი, 1919—20 წ.—212 მილ. ფუთი, 1920—21 წ.—280 მილ. ფუთი. ახლად დამშეული ვოლგის პირები აძლევდა მთავრობას პურის თითქმის მესამედს.

**ხვერდლოველები დამშეულებს.**

27 ივლის შესდგა პარტიული კრება ი. მ. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის კომუნისტური სტუდენტობისა. სტუდენტებმა გადაწყვიტეს პოვოლჟიეს დამშეულ მცხოვრებთა დასახმარებლად გადასცენ 25 პროცენტი პურისა და ფულის ულუფისა. ულუფიდან გადარიცხვა ყოველთვიურად სტუდენტებისაგან დაახლოვებით იქნება—პურით 375 ფუთი და ფულით—625.000 მან.

ამას გარდა სტუდენტ-უკრაინელებმა, რომელთაც მიიღეს ნატურით დახმარება ორგანიზაციებიდან გადასცეს დამშეულთა სასარგებლოთ 400 ფუთი ფქვილი.

ასე უნაწილებენ წითელი სტუდენტები თავის მცირე ულუფას მშიერ მოძმეთ.

**წითელი არმიის წვლილი.**

წითელ არმიელებმა (მილერ-გამტარებელ პუნქტისა) გადასცეს დამშეულთა სასარგებლოთ სამი დღის ულუფა.

**საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობა**

ა. კრასინს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარსა და რუსეთის ეკონომიურ დელეგაციის თავმჯდომარეს, მოსკოვის „პრავდაში“ შემდეგი ოფიციალური ცნობები მოჰყავს რუსეთის საგარეო ვაჭრობის შესახებ:

| 1920 წელში: | შემოტანილია ფუთი |
|---|---|
| 18/IV-დან 3/XII-დე . . . . | 5.223.357. |
| 1921 წ. | |
| იანვარი . . . . ! . . . . . | 736.700 |
| თებერვალი . . . . . . . . . | 1.602.400 |
| მარტი . . . . . . . . . . . . | 623.000 |
| აპრილი . . . . . . . . . . . | 2.113.800 |
| მაისი . . . . . . . . . . . . | 3,457.500 |
| ივნისი . . . . . . . . . . . | 2.834.700 |
| სულ 1921 წ. პირველ ნახევარში. . . | 11.368.100 |
| მთლად 18/IV 1920 წლიდან . . . . . . . | 16.601.457 |

**სახ.-სამეურნეო იარაღები.**

23 ივლისის 25 დე იამბურგიდან რკინის გზით მოვიდა 140 ვაგონი სასოფლო სამეურნეო იარაღებით.

## უცხოეთი

### რუსეთი და წყნარ-ოკეანეს კონფერენცია.

წყნარ-ოკეანეს კონფერენციის გამო მთავრობას მიეცა თემთა პალატაში კითხვა. უყურებენ თუ არა რუსეთს, როგორც ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს, რომელიც დაინტერესებულია წყნარ-ოკეანეს საკითხის მოწესრიგებაში, ან მხედველობაში აქვთ თუ არა წარმომადგენლობით უზრუნველჰყონ ციმბირის ინტერესები მაინც ვაშინგტონში. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობას არავითარი ცნობა არ მიუღია ამერიკისაგან რუსეთის წარმომადგენლობის მოწვევის შესახებ, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს აღნიშნულ საკითხების განხილვის დროს კონფერენციაზე.

### არაფერი უწყიან.

20 ივლისს თემთა პალატაში ვენვორტმა მიჰმართა მთავრობის წარმომადგენელს კითხვით: მიღებულია თუ არა იაპონიის მთავრობისაგან რაიმე განცხადება იაპონიის იმ განზრახვაზე, რომლითაც იაპონიას სურს ვლადივოსტოკისა და სხვ. ოკუპაციის ქვეშ მყოფ პუნქტებისა და ამასთანავე სახალინის ოკუპაცია. გარსმვორტმა უპასუხა, რომ იაპონიის მთავრობისაგან ამ საკითხის შესახებ არავითარი ცნობა არ მიგვიღიაო. შემდეგ მისცეს კითხვა: იცის თუ არა მთავრობამ, რომ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა პეკინში გაუგზავნა იაპონიის მთავრობას ნოტა მოთხოვნილებით, რათა იაპონიამ შესწყვიტოს ინტერვენცია და გაიყვანოს ჯარები რესპუბლიკის ტერიტორიისაგან. თუ ეს ინგლისის მთავრობას მოეხსენება, აქვს თუ არა განზრახული მას იშუამდგომლოს, რათა იაპონიის მთავრობამ [illegible] მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. გარსმვორტმა უპასუხა, რომ მთავრობას არავითარი ცნობა არ აქვს შორეულ აღმ. რესპუბლიკის მიერ ამგვარი ნოტის გაგზავნის შესახებ.

### საიდუმლო ფრანკო-პოლონური ხელშეკრულება.

რომის გაზეთებში გამოქვეყნებულია ფრანკო-პოლონური საიდუმლო ხელშეკრულება, რომლითაც საფრანგეთს ეძლევა 40 პროცენტი ყველა ზემო სილეზიის მადნეულობის აქციებისა, ფრანგები კი თავის მხრით ვალდებულებას კისრულობენ გადაიხადონ დღეში თითო ფრანკი ოქროთი თითო პოლონელ ჯარის-კაცზე, რომელიც შესდგება 600,000 კაცისაგან.

### მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

უკანასკნელს დროს მთელს გერმანიაში შეიმჩნევა ძლიერი მოძრაობა ხელფასის აწევისათვის; ეს გამოწვეულია გერმანიაში სურსათ-სანოვაგის გაძვირებისაგან. მოძრაობა გავრცელდა რეინ-ვესტფალიის რაიონებში. ქრისტიანთა კავშირის მემადნეთა თათბირმა ბოხუმში მოითხოვა ცენტრალურ კავშირისაგან ენერგიული ნაბიჯების გადადგმა ხელფასის აწევის სასარგებლოდ. ავხენის მთის რაიონის მემადნეებმა და შახტების მოსამსახურეებმა გამოაცხადეს ეკონომიური გაფიცვა. გაფიცვა სასოფლო-სამეურნეო მუშათა პომერანიაში კვლავ გრძელდება. „ტეხნიკური დახმარება“ სტუდენტთა და პოლიციის უკვე მზად არის.

### პრიბალტიის პრემიერთა თათბირი.

ფინლიანდიის მოწვევით 25 ივლისს ჰელსინგფორსში შესდგება ბალტიის სახელმწიფოთა გარეშე საქმეთა მინისტრების ყრილობა. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ: ფინლიანდიიდან—გარეშე საქმეთა მინისტრი ხოლსტი, ესტონიიდან—პიიპ, ლატვიიდან—მეიროვიცი, პოლონეთიდან—იან დომბსკი, რომელთანაც იქნება აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი ლუკასევიჩი და რეფერენტი ბალტიის სახელმწიფოთა შესახებ კომარნიცკი.

### ძეგლი ლიბკნეხტს და როზა ლიუქსემბურგს.

ქალაქის პარკში ტიურინგენში შესდგა ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის ძეგლის გახსნა ურიცხვ მუშათა თანადასწრებით.

### პარლამენტის მოკრივენი.

ბუქარესტიდან გვაცნობებენ, რომ პალატაში მოხდა დიდი აყალ-მაყალი და ხელდახელი შეტაკებანი, როცა ირჩეოდა წარმოებათა ნაციონალიზაცია. ოპოზიციის დეპუტატები ბრალს სდებდნენ ვაჭრობის მინისტრს მექრთამეობაში. საქმე იქამდის მივიდა, რომ მინისტრს მათრახი შემოჰკრეს სახეზე, რომლის შემდეგ იყო დეპუტატების ერთი-მეორეში მუშტ-კრივებით დარევა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით განაცხადოთ, რომ ეს ორი წელიწადია რაც ფაქტიურად ჩამოშორებული ვარ ს. რ. პარტიას, მაგრამ რადგან დღემდე არც ერთს პარტიას არ მივმხრობივარ და უპარტიოდ ვითვლებოდი, ამისათვის ოფიციალური განცხადებით არც ერთი გაზეთისათვის არ მიმიმართავს. დღეს კი როცა გადავწყვიტე მემარცხენე ს. ფედერალისტთა ფრაქციაში მუშაობა, ვაცხადებ, რომ დღეიდან ვსტოვებ ს. რ. პარტიას და ვერთდები მემარცხენე ს. ფ. პარტიას.

კატო მიქელაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 2000 [illegible] ნ. ფ. ს. ც.